სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

89748670978823

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230826562

რეგისტრაციის თარიღი

22.06.2023 წ

ნოტარიუსი: ინგა ხარძიანი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
ტელეფონი: 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაორ ივნისს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველ სართულზე, მომმართა **გიორგი გოგიჩაიშვილმა.** მან განაცხადა, რომ არის **შპს „ჰილსაიდ დეველოპმენტი“-ს** (ს/კ 404678176) დირექტორი და საზოგადოების სახელით მოითხოვა **ნიკოლოზ ჩხაიძისთვის** (დაბ. 16.07.1974წ. თბილისში, პირადი #01024024996, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ზ. ფალიაშვილის ქ. #15/5 ბ. 6) შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გადაცემის აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით: **გიორგი გოგიჩაიშვილი** - დაბ. 09.01.1994წ. თბილისში, პირადი #01017041929, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ლარსის ქ. 1 ბ. 4. მე შევამოწმე გიორგი გოგიჩაიშვილის უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „ჰილსაიდ დეველოპმენტი“-ს შესახებ, საიდენტიფიკაციო ნომერი 404678176, განცხადის რეგისტრაციის B23076705, ამონაწერის მომზადების თარიღი: 31/05/2023. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გალის ქუჩა #8, შპს „ჰილსაიდ დეველოპმენტი“-ს წესდება წარმოდგენილია სამეწარმეო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაორ ივნისს, ამ მინდობილობით **გიორგი გოგიჩაიშვილმა,** როგორც **შპს „ჰილსაიდ დეველოპმენტი“-ს** (ს/კ 404678176) დირექტორმა, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც “მიმნდობი”, საზოგადოების სახელით **ნიკოლოზ ჩხაიძეს,** რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მინდობილი” მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია იყო მიმნდობის წარმომადგენელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კერძო და საჯარო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, საქართველოს გამგეობებში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, დეპარტამენტებში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა სსიპ-ში/სამსახურებში, მერიის იურიდიულ სამსახურებში, დაგეგმარებისა და ზედამხედველობის სამსახურში, მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურებში, მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საკრებულოში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტებში, თვითმართველობის ნებისმიერ ერთეულში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, საპროექტოში, წარადგინოს და/ან მიიღოს მშენებლობის ნებართვა არქიტექტურის სამსახურიდან, შეათანხმოს პროექტი და აიღოს შესაბამისი ნებართვა (ყველა სტადიის ჩათვლით), აწარმოოს მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საჭირო პროცედურები, წარადგინოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი (შეთანხმება, ნებართვა, ბრძანება და ა.შ.), შეცვალოს და/ან შეიტანოს კორექტირება პროექტში, გააგრძელოს ნებართვის ვადა, მიიღოს პროექტის ცვლილების, კორექტირების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ბრძანება, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს, ნებართვებს, თანხმობებს და ა.შ. აწარმოოს სამშენებლო, სარემონტო, საპროექტო სამუშაოები, გააკეთოს განაცხადი, აიღოს ნებისმიერი სახის ცნობა, დოკუმენტი, ასევე უკან გამოითხოვოს ჩაბარებული დოკუმენტაცია, უფლებამოსილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე www.tas.ge-ზე ელექტრონული ფორმით წარადგინოს საბუთები, მოახდინოს ელექტრონული დოკუმენტების ატვირთვა და ელექტრონული ხელმოწერა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს საბუთებში ხარვეზის გასწორება, ცვლილების შეტანა, განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შეთანხმება, წითელი ხაზების კორექტირება,

იყოს წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, რაიმე სახის ხარვეზის დადგენის შემთხვევაში შეასწოროს ხარვეზი, გადაიხადოს გადასახადები, შეკრიბოს, წარადგინოს და/ან მიიღოს (გამოითხოვოს, ჩაიბაროს) ყველა საჭირო დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია და ა.შ (მიიღოს დოკუმენტაცია როგორც ელექტრონულად ასევე ხელზე), მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს მიმნდობის სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალებების შესრულებასთან..

2. მინდობილობა ძალაშია ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაორი ივნისის ჩათვლით. მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ზემოაღნიშნული მინდობილობა.

3. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი შემდეგი დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

4. გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა 30 (ოცდაათი) ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 5.40 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

მიმნდობი _____

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/

შეკერილია და დანომრილია
ფურილად
ნოტარიუსი:

ეროვნული ნოტარიუსი
GEORGIA NOTARY KINGA KHANDZIANI
ГРУЗИЯ. НОТАРИУС КАНДЗИАНИ ИНГА
62004001308

